

# მშვენიერი მათრახი

ნუმორისგ. ეურნალი

№ 33

## საგარაკო სიეზლი ბორჯოევი

F644



როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვაიგო „ეშმაკის მათრახის“ თანამშრომელმა, საგარაკო სიეზლი ტაცებულია ბორჯომის სანიტარულ მდგომარეობით და ერთხმით აღგენს: გამოცხადდეს ეს სასიამოვნო ცნობა ჩვენს ეურნალში, სიეზლის მონაწილეთა სურათითურთ, რასაც მოკრძალებით ვასრულებთ.



თფილისი, 14 აპრილი 1916 წ.

ოთხი დღე მარ-  
ხულაობისა.

შემა ანთიმოზს, რომელსაც თავი-  
სი სპეტაკი წვერიისთვის ჯერ მარ-  
ტულაი არ მიუკარებია და ამ  
მეწე იარაღით ერთი ბეწვიც არ მოუკვეცია, რომე-  
ლიც განსაკვირებელის სისასტიკით და პუნქტუა-  
ლობით იცავს სარწმუნოების ყოველგვარ წესებს,

მართალია, შემა ანთიმოზი  
ხშირათ იტყვის: „არა ჩამავლმან პირსა შინა წარ-  
სწყმიდოს მონა ღვთისა, არამედ ამომავლმან მუ-  
ნით“-ო, მაგრამ ეს ლიბერალობის ხასიათზე როცა  
დგება, მაშინ მოსდის ხოლმე.

დღეს კი ომის საჭიროებამ წარმოშვა ოთხი სა-  
მარხვო დღე. ამას ანთიმოზ ხუცესიც გაიგებს, მაგ-  
რამ არ დაიჯერებს; არ დაიჯერებს, რომ ეს ოთხი  
სამარხო დღე, ე. ი. სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთ-  
შაბათი და პარასკევი დღეს მოგონილია სამხედრო  
და საქვეყნო საჭიროებისათვის.

მაგრამ ჯჯინ გავარდეს ანთიმოზ ხუცესს. ჩვენ  
საკუთარი მიზანი გვაქვს დასახული ამ მეთაურში და  
თუ შეესძლებოდა მისი საქმიად გაშუქება, ჩვენს მო-  
ვალეობას შესრულებულათ ჩავსთვლით.

როგორც მოგვხსენებთ, მთავრობის განკარგუ-  
ლებას ოთხი დღით მარხულობის დაწესების შესახებ,  
მიზნათა აქვს დასახული მსხვილ ოთხ-ფეხთა მფარვე-  
ლობა.

კეილი და პატიოსანი. საკითხი სწორათ არის  
დაყენებული. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რამდენათ  
მივალწევთ ამ გონივრულ მიზანს. აი მომისმინეთ.

მარტო ქალაქ თფილისს, როგორც საბჭოს ან-  
გარიშებიდან სიანს, სკირია ყოველ დღე საშუალო  
რიცხვით 20,400 ფუთი ხორცი: ძროხისა, ცხვრი-  
სა, ღორისა და ბატონისა. (სხვა ცხოველებს, როგორც  
მც. ძაღლებს, ცხენებს, კატებს, არ ვიხსენიებთ,  
ვინაიდან იმათ ჩუმათ ასაღებენ მეყვანეები და სტა-  
ტიისტიკისათვის მიუწვდომელია მისი რაოდენობა).  
სინამდვილესთან ახლოა მხოლოდ იმ ხორცის რაო-  
დენობა, რომელსაც აშკარათ ჰყიდიან გირვანქას  
40 კაპეკით.

თუ არა ვცდები, საკვებადი და ადამიანის ორ-  
განიზმისათვის საჭირო მასალა ხორცში მეტია, ვიდრე  
მცენარეულობაში და თუ სინოციერის მხრივ შე-

ვადარებთ: გინდ ერთი გირვანქა ხორცი შევკვამით,  
გინდ 56 გირვანქა ბალახი; ვნახოთ უფრო ვართ და-  
უპკირდეთ ამას.

განავითაროთ ჩვენი აზრი. თფილის ქალაქს  
სჭირდება დღიურათ 20,400 ფუთი, ანუ 816,000  
გირვანქა ხორცი. თუ ერთი გირვანქა ხორცი 56  
გირვანქა ბალახს უდრის ნოყიერებით, იმავე მოთა-  
ხოვნილების დასაკმაყოფილებლათ დღიურათ თფი-  
ლისს დასჭირდება 1,129,750 ფუთი თივა. ნუ და-  
გავიწყდებათ, რომ ჩვენი ანგარიში მარტო ქ. თფი-  
ლისს შეეხება. ასევე იქნება სხვაგანაც.

თივას ადამიანი პირველთავე არ მიმართავს,  
მაგრამ როცა ბოსტნეულებზე მიუწვდომელი ფასი  
დაწესდება, (შავალთად, ერთი კიტრი თუმანი ეღო-  
რება და ისიც ძნელი საშოვარი იქნება), ხალხი  
უნებლით გადავა ბალახის ხმარებაზე. ჯერ კიდევ  
ომის მესამე წელიწადი არ იქნება გასული, რომ  
ფუთი უბრალო ბალახი ათი-თორმეტი მანეთი ეღო-  
რება და იმასაც ხათრით და პროტექციით მოგვკუ-  
დიან. განსაკუთრებული ფასი დაედება გვიმბრასა,  
იოჯასა და კოიონდარს.

არსებობისათვის ბრძოლაში ყოველთვის ის  
იმარჯვებს, ვინც ამ მიზნისთვის უფრო მომზადებულ-  
ლია. აშკარაა, რომ ადამიანებთან ბრძოლას განე-  
ბრევათ მათზე ცოტა დაბალ საფეხურზე მდგომნი  
ძროხები და ხარები (მით უმეტეს კამჩენი) ვერ  
შესძლებენ და დამარცხდებიან. ადამიანი მოუსპობს  
მათ საზრდოს და ამგვარათ გადაშენების გზაზე და-  
აყენებს ოთხ-ფეხთა მთელ მოღვმას.

შეიძლება მე ერთობ საშიშარი და დამაფიქრ-  
ბელი სურათი დეხატე ოთხი სამარხვო დღის და-  
წესების შედეგებისა, მაგრამ დამაფიქრებელი ელემ-  
ენტი ისედაც ბევრია ამ მიმე საკითხში.

გავათავოთ. ჩვენს წერილს საქმიათ ძლიერი სა-  
ბუთები ახლავს, რომ კრიტიკამ შევგავინოს, მაგრამ  
მიუხედავათ ამისა, გულით მოსურნე ვართ ჩვენსა  
ყურნალ-გაზეთობამ წამოაყენოს თავის მოწინავეებში  
აღძრული საკითხი და პასუხი ვასცეს მას.

ეშმაი\*).

\*) ვინაიდან ორი წევრი სარედაქციო კოლეგიისა ბ-ნი  
მორიელი და კოლა არ იზიარებენ ამ მოწინავეში გამოთქმულ  
აზრს და მე კი არა მსურს ჩემი საკუთარი შეხედულობა სხვას  
მოვახვიო თავს, ამიტომ მოწინავეს ვუწმებ ჩემი პირადი ბა-  
სუხისმიგებლობით და ხელის მოწერით. ეშმაიკი.



# პატარა ფელეტონი

## ტრამვაის საკითხი.

„შპშ მიიღეს ტრამვაის კონსტრუქტორებათ 70 ქალი“. (ჟურნ.-ვახუთე-ბილან).

სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოთ, რომ ეს ერთობ რთული და ძნელი საკითხი.

ელექტრონის ტრამვაი, ურემი როდია, „გაღებულდება თუ არა, მაშინვე ახალი გზა აღმოჩნდეს.“ არა. ტრამვაის გადამბრუნებას ყოველთვის ათასგვარი უსიამოვნება მოსდევს.

აი ამიტომ შეიტანეს ტრამვაის მოსამსახურეებმა ქალაქის გამგეობაში ქალაღლი:

— უმოჩრიღესად გთხოვთ გადაჭით გვიხზათ:

ა) ვის უნდა ვემორჩილებოდეთ ტრამვაის მოსამსახურენი, ე. ი. ვის ბრძანებას უნდა ვასრულებდეთ.

ბ) ვინ უნდა გვეცემდეს და გვლანძღავდეს სამსახურის ასრულების დროს.

გ) ვინ უნდა დაგვაჯღოს ამ ცემისა და ლანძღვისათვის.

როგორც ხედავთ, შეკითხვა სამართლიანი და ქალაქის მიმებრე შეიკრიბენ პასუხისათვის.

### მუხ. I ვის უნდა ემორჩილებოდენ ტრამვაის მოსამსახურენი.

— ჩემის აზრით ეგ საკითხი ერთობ რთულია—დაიწყო მჭევრმეტყველობით ცნობილმა ისაია მარკოზის ძემ. აქ სამი სხვადასხვა მხარეა: იურიდიული, ზნეობრივი და ესტეტიური. იურიდიული გამგე და მბრძანებელი ტრამვაის მოსამსახურეთა, ცხადია „საბჭოს იურიდიული კომისია“ უნდა იყოს. რაიკა შეეცება ზნეობრივ ელემენტს, აქ მთელი საზოგადოება დაინტერესებული, ხოლო ესტეტიური მხარე გემოვნების საქმეა. ხოლო თუ ვინცო-ბაა საბჭო საჭიროთა სცნობს ტრამვაის საქმეთა გამგებლობა მარტოდ-მარტო ამავე სახელობის კომისიას გადაეცეს, ვთხოვთ ჩემი კანდიდატურა დასვათ „ტრამვაის კომისიის“ წევრობაზე. მე მსურს ვემსახურო ქალაქის ამ ცოცხალ დარგს წარმოებისას.

— ბატონო ხმოსნებო,—დაიწყო ექიმმა ლენკევიჩმა—ჩემის აზრით ტრამვაის საქმეებს მხოლოდ „სატრამვაიო კომისია“ უნდა განაგებდეს და არა

სხვა რომელიმე, მაგრამ ამასთანავე, საჭიროა აღნიშნულ კომისიაში არჩეულ იქნას უფრო მსოფიანი, დარბაისელი და დიჯი ხმოსნები. თუ სიამოვნებით ვიკისრებ აღნიშნულ კომისიის წევრობას, თუ საბჭო კეთილ ინებებს და სხვა საქმეებიდან გამანათვისუფლებს.

— ბატონებო,—დაიწყო ხმოსანმა კოვალენსკიმ,—ვერ დავთანხმებ ბატონეველ დოქტორს, რომ „სატრამვაიო კომისიაში“ საჭირო იყოს მხოლოდ მსოფიანი და მით უმეტეს დარბაისელი წევრები. სხვა რომ არა იყოს-რა, სად იშოვით ადენ დარბაისელ ხმოსანს? დარბაისლობა ქერწლი ხომ არ არის; ყველა თავს ახლდეს? პირიქით, „ტრამვაის კომისიაში“ საჭიროა ახალგაზრდა, ენერგიული წევრები. მე არა ვარ წინააღმდეგი ჩემი კანდიდატურაც წამოყენებულ იქმნას ამ კომისიის წევრობაზე.

— მე ვფიქრობ, ბატონებო,—დაიწყო ხმოსანმა ლ. ფ. ტრეზანოვმა—ბატონეველი ე. კ. ლენკევიჩი ახლო სიმართლესთან. „ტრამვაის კომისიაში“ მართლაც რომ დარბაისელი ხალხია საჭირო, მაგრამ ამისათვის მოზუტებულობა არ უნდა იყოს მინც-და-მინც საჭირო. შუა ხნის მოღვაწეები ჩვენ არა ერთი და ორი გვეყავს და ისინი მშენებრათ შესძლებენ ამ მძიმე საქმის გაძლოლას. დიდის სიამოვნებით ვიდგამ ყუთს აღნიშნულ კომისიის წევრობაზე.

კამათმა მწევე, პირადი, და ჰასაკური, ხასიათი მიიღო. ყველა ერთნაირის გატაცება—აღფრთოვნებით ამტკიცებდა და ასახუთებდა თავის აზრებს. ყველა ერთგვარი სიყვარული იწოდა საზოგადო საქმისადმი, ყველას უმთავრესათ მუნიციპალური ინტერესი აღეგნებდა და აღბაზაკებდა. აღ. ივ. ხატისოვსა „საშინლათ უყვირდა ხმოსანთა ამგვარი გატაცება ტრამვაის საკითხებით. შვიდი წლიდან უკვე ქალაქის ინტერესებით ცხოვრობს, შვიდი წლიდან თვალ-ყურს ადევნებს მუნიციპალურ საქმიანობას და ასეთი აღფრთოვანება, ერთსულოვანება და პირდაპირ ზეალმაფერნა საზოგადო საქმისადმი მის ჯერ არ უნახავს.

აღ. ივანის ავირევედა აგრეთვე ეს უჩვეულო და ჯერ მუნიციპალურ პრაქტიკაში უსმენელი დაყოფა ხმოსნებისა წლოვანების მიხედვით. აქ უცებ წაიშალა, როგორც ეროვნული, აგრეთვე წოდებრივი და კლასიური საზღვრები. თვით პართენ გოთუასაც დაევიწყდა, რომ იგი „ქემარტი ქარავე-

# მოსი ვურჯელა

სტენა 1 მოქ.

(ჭათურისათვის)

მომხმედნი პირნი:

მიხა	}	ჭათურელი ვაჭრები.
ლაღია		
სანდრა		
სოლომონი		

ლია“ და სიამოვნებით ჩაირიცხა „შუახნოვანთა“ ჯგუფში ბნ ტიგრანოვთან ერთად. წარმოდგინეთ, ბ-ნი ხუნუნცი, რომელსაც არა ერთხელ განუცხადებია საბჭოში, რომ „იგი არ ეკუთვნის არაერთარ ჯგუფს, რომ მოქმედობს თავისუფალი სინდისისა და მუნიციპალური ინტერესების მიხედვით“ ახლი ახალგაზრდათა ჯგუფში ჩაირიცხა, ვინიდან მეტრიკაში თორმეტი წლით გვიან ყოფილა ჩაწერილი. მეტსაც ვიტყვი, წარმოდგინეთ ამ ჯგუფობამ თვით სამღვდლოების წმინდა წარმომადგენელნიც კი აი-ყოლია და ამა თუ იმ ჯგუფს მიაკერძა.

ვინიდან ვნებთა ღელვა უკიდურეს წერტილამდე ივლიდა და გამიწვავებდა ჯგუფთა შორის უმადლესად განვიხარდა, ქალაქის მოურავმა იხარა ჩვეულებრივი წინდახედულება და არჩევნები „სატრამაგია კომისიისა“\*, რომელსაც უნდა შორჩილებდეს, იურიდიულათ თფილისის ელექტრონის ტრამაგის მუშები, გადასლა მომავალი საგანგებო კრებისათვის. მაგრამ ვინიდან ტრამაგის მოსამსახურენი დატინებით მოითხოვენ: „ეუწყოს მათ, თუ ვინ არის მათი პირდაპირი უფროსი და ვისი ბრძანებაა მათთვის სავალდებულო“, კრებამ არსებითად დაადგინა:

— მოხსენდეს თფილისის ტრამაგის მოსამსახურეთ, რომ მათი პირდაპირი უფროსია ყოველი წევრი „საბჭოს სატრამაგია კომისია“, თუ კი ის (წევრი კომისიისა) ბრძანების გაცემის დროს ღვინის, ან სხვა მავგარ სითხეთა ხმარებისაგან განსაკუთრებულ მფგომარეობაში არ იმყოფება.

რეოლოგიკა ერთხმით იქნა მიღებული და გადასწყდა მისი „ეშმაკის მათრახში“ გამოქვეყნება. ამის შემდეგ ხმოსანთა შორის გამიწვავებამ იკლო. უცებ აღსდგა ჩვეულებრივი სახე საბჭოს ჯგუფობრივი დანაწილებისა და კამათიც ძველს კალაპორტში ჩავარდა.

ქალაქის მოურავმა წამოაყენა მეორე მოთხოვნითლება ტრამაგის მოსამსახურეთა, სახელდობრ: — ვინ უნდა სცემდეს და ღანძლავდეს მათ სამსახურის ასრულების დროს. — კითხვა ერთობ რთული გამოდგა და მშვიდობიან ხმოსანთა შორის უჩვეულოა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამიტომ გადავწყვიტე ამ კითხვის განმარტების შესახებ მომავალ ნომერში ვილაპარაკო ჩემს პატრეცემულ შკითხველებთან.

მორიელი.

(სტენა წარმომადგენს სანატორიოს, სადაც სხედან ჭათურელი ვაჭრები ხინრის დარდუკვისათვის დაჭრაიხანა. მისს, სოლომონს და სანდროს სინიხეთ, ხოლად ღაღად მღვიანარა და ბადლიხვარებს ეთმება. დამკა).

ლაღია. აწი და რა უნდებთან ჩემდგინ ამ ხალხს, რას მერჩინე? „დამპალი სიმინდი რატომ გაყიდეო“... დამპალი და ოხერი საქონელი უნდა გაყასალო, რომ პეტრეც ხერი ვნახო. მე იმიზა ჩამოველ ჯიხაშიდგინ ამ შავ ჭიათურაში, რომ ოხერი ქვეყანა და რაკისა მვევირთ-თქვა, ვიფიქრე. იცოცხლე, ხელი არ დამიკლას არაფერიზა და რიგინადაც შევსულე, მარა გლახა დროს წამვეცევე ანკესეს! ნამდვილ რომ მინდოდა, ისე მქონდა საქმე მოწყობილი, მარა გლახა დროს წვეიკარი ფეხი!

სოლომონი. (ძილში აბოდებს) ლუკ... ლუკ...

ლაღია. ზუჟი შენ და თიქარი! შენ რომ ვარგი კაცი იყო სამ გირვანქა ხახვიზა არ დააქირვიბდი თავს. (ბაღლინჯო უქბენს და კანქს იფხანს) უჟ, უჟ, დაგვეცათ დაბადება აწი და ოთანია ან უჟატრონო; თუ კეტეტრლების ბეღელი? რავა გაფსებულია აქოურობა!

მიხა. (ძილში აბოდებს) ქბილები...

ლაღია. დაგვიცინდა კბილები! ნახევარ მილიონის პატრონმა კეტეტრლების ზაქუსკათ გეიხადე თბვი. ახია შენზე ყოლისფერი!

სანდრა. (ძილში აბოდებს) შაქარი...

ლაღია. ციხე მავარი. დაჯეკი და იყურეუე-შაქარი სულ რომ არ გენახა თვლით იგი გერჩია, შე უბედურო. (უცებ შხებება) ფუ, დაგვეცათ ქმრია. რავა შემზრენ ამ ურჯულთაგან! მიინი და რავა ბეოლის კეკალივით დაჯენდა ეს უპატრონო (ღიღხანს ეთმება ბაღლინჯოებს. ხელჩართული ომის დროს რამდენიმეს კიდევაც იმსხვერპლებს. შემდეგ მოღლილ-მოქანცული მიიძინებს).

სანდრა. (ძილში წამოიყვირებს და წამოვარ-

\*) განურჩევლათ სქესისა.



დება) არიქა, ტიგრან, ატკაზი თქვი, თორემ ვადა-  
მასხლემუნ. (ძილუ-ძილიობით გამოერკვევა ძილს, თვალბეს მოიფშენეტს და გაშტერდება). ვა, ეს რა  
დღეში ჩავარდი, კაცო! გავხდი რალა ქვეყნის მას-  
ხარს! ვიფიქრე: გირვანქა ხუთ-შაურში ნაყიდ შა-  
ქარს სამ-აბაზათ გავყიდი მეთქი. მე გამდღერდებას  
ვაპირებდი, მაგრამ ტლაპოში კი ვადავარდი ცხვი-  
რით! ხუთასი უღელი კამეჩი რომ დამიბან, ამ ტლა-  
პოდან მაინც ვერ ამოპართევენ. ვა, ეს რა მივქა-  
რე, კაცო! ეს რა უკულო ვირზე შევეჯექი! ოხ, პაე-  
ლე, ჩემი ცოლო გედოს. არა, შე უღმერთოვ, ვი-  
საც შაქარი მივყიდე, ის არა ჩიოდა, შენ რა გა  
ჩივლებდი! რა დავიშავე ამისთანა, რომ ბაღლინ-  
ჯოგების სახრავათ გამიხადე! (შებტება და იფხანს) უპ,  
თქვე სახეძალდებო, რა ჩემთან მოიყარეთ თავი!  
ჩემის მტრი ამფსონი ვეღარაფინა ნახეთ! (ნერვები  
აეშლება და თავში წაიშენს) დარაკ, დარაკ, ალე-  
ქსანდრ შევერდოვ, ახია შენზე ყველაფერი! თივ-  
თიკის დოშაკი არ გინდოდა და იგორაკე ამ ბაღ-  
ლინჯოგებში! ვა, ქრისტანო, ასი მანეთი მალა-  
კროვიის წამლობა დამიჯდა, როგორც იყო სისხლი  
მოვიგროვე და ამ ურწმუნოებმა სულ გამოშუქუნეს  
რალა! ნამდვილათ ძვლამდის დამიყვანენ ეს სახე-  
ძაღლებო, ისე მხრამენ რალა!

**სოლომონი.** (ძილში აბოდებს) პაიმდორი...

**სანდრო.** მართლა ვირი ხარ და ჯორი. შე მი-  
შუნო, ცხრა კაპეიკისთვის ბაღლინჯოგების საანდერ-  
ძოთ გაიხადე თავი!

**ლაღია.** (ძილში აბოდებს) სიმინდი...

**სანდრო.** ერთი შენ ხარ სულიწმინდი! ესეც  
საწყალი ბიჭია აი! თუმნიანში ოცდახუთიანს მოგ-  
ცემს ეს პირძალი ისეთი მემამტი რომ არის, სულ  
ქრისტისჯე ჯორის დიარაკება რალა ეს პირშავი!

**ლაღია.** (ძილში აბოდებს) დამპალი...

**სანდრო.** დავიდება თვალი. ჯერ სადა ხარ.  
ჯერ ერთი გაისიერნე ერკუცკი გუბერნიაში! გინ-  
დოდა დამპალი სიმინდით ხალხი ამოგეფუქე და  
ქვეყნის კონცოლათ დამჯდარიყავი, მაგრამ გავიგეს  
ქულიკობა. (ერთხანს გაშტერდება. მერე ლოგინს  
დაბერტყავს და წამოწვება. არ ეძინება და შფო-  
თავს).

**ლაღია.** (ბაღლინჯოგები არ ასვენებენ და გა-  
მოელვიძებთ. წამოჯდება და იქექება. კარგათ გათე-  
ნებულაია) დეღაია, საყვარელო, სად გიკვდები! რა  
დღეში ჩავარდი! სიღინ დამეტაკა აი უბედურება!

ახ, რა კარგათ მქონდა საქმე! (სიხარულით კონ-  
კურენტი არევენ მყავდა და თელ უგლავოში მე  
ვიყავ ბძანებელი. ჩემი მალაზია პირდაპირ ბადე იყო.  
ვინც კი შამევიდოდა, ჩემი ხელიდგინ ვერსა წვეი-  
დოდა..

**სანდრო.** (ძილბურანშია, მაგრამ უცბე გიღვი-  
ძებს, რადგან ცხვირის ნესტოში ბაღლინჯო შეს-  
ძრომოდა. წამოვარდება და შეპყვირებს) მიშველეთ,  
შამქამეს ამ ურწმუნოებმა! (ლადის) კაცო, ლადი-  
მერ, ერთი მიშველე თუ ღმერთი გწამს, თორემ გა-  
მათავეს ამ ურჯულოებმა! (საბანს და ლეიბს იღებს  
და ბერტყავს).

**ლაღია.** რას შობი, რას, შე მულრეგო! სით  
ერეკები, მაგ კეტეტოლებს? ხომ არ გინდა რომ მო-  
გბრიგო ამ გავარებულ გულზე!

**სანდრო.** რა გაყვირებს ეე, ქვეაზე მოდი!

**ლაღია.** მაყვირებს კი არა კბილებს დავა-  
ტერევე, შე მაიმუნო, შენა!

**სანდრო.** ვისა, ბიჭო, ვისა! პირჯვარი დაიწერე  
ე მანდ არაფერმა შავაშინოს. ნი კრიჩი ია თებე  
ღავარუ!

**ლაღია.** არ დაბერო სული, თვარა გავთბრქმ  
შევაზე..

**სანდრო.** (დაცინვით) რა ბძანეთ! შენ ალბათ  
კაცია სანდრეას ვერ იცნობ. ისე ვაგიხადო ეგ  
თავი, რომ სულ ბუზები გეხვევოდეს!

**ლაღია.** (მივარდება სანდროს) გაწუმდი, შე ვირ-  
თხავ, თვარა ამოგაძროვ ენას! (შეიქნება ქიღობა  
და ყვირილი. მიხა და სოლომონი წამოვარდებიან,  
ჩავარდებიან უშუაში და ახავებენ).

**მიხა.** (გაკვირვებული) გედირიეთ!

**სოლომონი** ჩხუბი რავე მიძღება, სირცხვილია!

**სანდრო.** (მიხას) მიხა, კოლშვილს ვაფიციბ,  
ნუ მამერიდები და ვასქერ სამართალი. კაცო, ლო-  
გინი ავბერტყე. ეგ ყვირის: რათ აბერტყე, ბაღ-  
ლინჯოგები ჩემსკენ გამაიქენო.

**ლაღია.** აბა, რავე! ზდილობა რა უქენი შენ-  
ხელო კაცმა!

**მიხა.** აწი და რავე გეკადრებიან! გარეთ გავა  
აი ამბავი და თელათ მევიჯაყებით. (მიხა და სო-  
ლომონი შეარბებენ სანდროს და ლადის და გა-  
დააკონინებენ. ყველანი თავთავიანთ ლოგინზე  
დასხდებიან და ფიქრებს მიეცემიან).

**სოლომონი.** თქვენ აქანა ჩხუბობთ და ვინ იცის  
დღეს ნაიალიკი რას გამოგვიცხადებს!



მიხა. დევილებუთ და დეიფესეთ.  
 ლაღია. (ოხვრით) ვაი, თუ გადაგვასახლონ!  
 ხანდრო. (ტირილით) მერე რისთვის, შაქრის-  
 თვის!! (ერთიმეორეს შუკურებენ დაღრჯილნი და  
 ტირილი მოსდით. მიხა ველარ მოითმენს და ატირ-  
 დება „ვაი-ეუის“ ხმაზე. სხვებიც ბაიყუშებივით  
 აპყეებიან მიხას).

მიხა. რა დროს მოვეწვართ,  
 ქვეყანა აბრუნდა,  
 გილდ-კუბეწს ციხეში  
 ნეტავი რა უნდა!  
 ვაი, ვაი, ვაი! (ყველანი ბღაიან).

ხანდრო. სამ გირი შაქრისთვის  
 მამაშორეს ცოლ-შვილს,  
 ისეა საქმე, რომ  
 გამიყრიან ბორკილს!  
 ვაი, ვაი, ვაი!

ლაღია. მასახლებენ მეგონი,  
 თავს მატყდენა მეხი,  
 რა ღმერთი გამიწყრა,  
 საღ წვიკარ ვეხი!  
 ვაი, ვაი, ვაი!

სოლომონი. ხალხი დამემტერა,  
 გლახათ ვყავდი თვალში  
 ხახვისთვის გამაბეს  
 მიმცეს სამართალში.  
 ვაი, ვაი, ვაი!

(აშ დროს შემოდის ციხის უფროსი ქადაგებთ ხელში.  
 უკუღანი გაჭმულებიან. ხანდროს ჭკონია სსსჯული ციხის  
 უფროსსზე დაშოკადუხლი და მატრამ დაქუცით მიჰმარ-  
 თაეს მს.)

ხანდრო. კაკ დელა, ვაში ბლაღაროღია!  
 ციხის უფროსი. (ხანდროს) ოჩენ პოლოხო. (ხანდ-  
 რო გაეშუღება. ყველანი ყურჩამოყრილები არიან  
 ერთ ადგილზე გაშეშებულნი. ციხის უფროსი კით-  
 ხულობს განაჩენს).

ხანდრო. (ვერ ითმენს და ტირილით მიჰმარ-  
 თავს „ნაჩაღნიკს“). გოსპოდინ ნაჩაღიკ, ტურბი  
 ილი ციმბირ?

ციხის უფროსი. ნე მეშაიტე! (კითხულობს) მა-  
 თი აღმატებულების გუბერნატორის განკარგულე-  
 ბით სამხედრო წესების მოხსნამდე გადასახლებულ-  
 ნი არიან ჭიათურის ეპქრები: მიხა, ლაღია, ხანდ-

რო და სოლომონი. (ყველანი ერთად უშუბლავებენ  
 ერთმანეთს).

ყველანი. დაეპკეთე კერა,  
 მური ვისვით ცხვირზე.  
 ქვეყნის სამასხაროთ  
 შევეჯექით ჩვენ ვირზე!  
 ვაი, ვაი, ვაი! (საერთო ქვითინი).  
 ფ ა რ დ ა.  
 გოგია.

# სიყვარული

გარწმუნებთ, რომ ყოველგვარ ავთამყოფობა-  
 თა შორის, თვისი ქრონიკული ხასიათით და სიმწვა-  
 ვით სიყვარულს პირველი ადგილი უჭირავს. რა  
 არის მასთან შავი ჭირი, ხორცელა? არაფერი! იგი  
 სულ ცოტა ხანში მოუდებს ბოლოს კაცს და გა-  
 თავდა, სიყვარული კი!.. რომელი ადამიანი გინა-  
 ხნეთ მისგან სრულიად განკურნებული? არც ერთი  
 თი!.. მე სიმართლეს ვამბობ! მავალითად ავიღოთ  
 ჩემი თავი. მე შეყვარებული ვარ! რამდენი ხრიკი  
 არ ვიხმარე, მაგრამ ამაოდ!

მოგესხენებთ, რომ ხუთმეტ-თექვსმეტი წლის  
 ბავშვი არ არის მიინც და მიინც დამჯდარი ქუქის  
 პატრონი. სწორეთ ამ ხნისა ვყავი, როდესაც სიყ-  
 ვარული შემეყარა. მაშინ ეს მდგომარეობა ძლიერ  
 მომწონდა, რადგან სასწავლებელში ჩემი პრესტიჟი  
 ამ გარემოებით ძლიერ მაღლა იდგა. მე, როგორც  
 შეყვარებულს, ყველაფერი მეპატიებოდა: საუბრის  
 მოპარვაც, დასაწერი ლათინურის გადაწერაც ახმა-  
 ნაგის რვეულიდან, და სხვა ამისთანები...

დრო გადიოდა... შევიქვენ იმ ხანისა, როდეს  
 საც ქაბუკი ცხვირსა და ზედა ტუჩს შუა ჩქარ-ჩქა-  
 რა ისევამ ხელს, რათა აღმოაჩინოს ნასახი ვეყ-  
 კის იმ სამკაულისა, რასაც უღელავებს ეძახიან. აი,  
 ახლა კი სერიოზული ხასიათი მიიღო ჩემმა სენმა.  
 სასწავლებელში სახმარ რვეულების მაგივრათ ვხმა-  
 რობდი შევ-კანიან ალბომს, (ქალის პროფილით)  
 და ლათინურ ფრანგულ თარგმნების მაგივრათ ჩე-  
 მი რვეული ლექსებით იყო აჭრელებული. სამოს-  
 წავლო წიგნების მაგივრათ ჩემს სახელმძღვანელოთ  
 შევიქმენ მდებრობითი ჰქესის ჩემდანი მოწერილი  
 წერილები.

ადვილათ მიხედვებით, თუ რა ნაყოფს გამოი-



ღებდა ანაირ სახელმძღვანელოებით განვითარება და... ერთ მშვენიერ დღეს, სასწავლებლის დირექტორმა დიდის მოწიწებით გამოიღო სასწავლებლის კარი და ქუჩაში გამოიხიყვანა. თან, მომართა:

— თუ შენდგან საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცი გამოვა, მე ჩინეთის იმპერატორათ აპარჩევნა!

ყველაფერი ზემოხსენებული შემაყარა სიყვარის სენმა. მოდიოთ ახლა და დაუჯერეთ მგონებს, როგორღიცი დღიან ღამიან სიყვარულის შესახებ ვაპყვიან.

მე ვერაფერ სიმშვენიერს ვხედავდი მასში! სასწავლებლიდან გამოვდებმა ვერ განკურნა ჩემი ბუნება და ვერ გამიქრო სიყვარულის აღები.

მთელი ორი წელი დავკავ უსაქმიოთ მშობლებების ქერქვეშ. ამ უსაქმიობაში უფრო და უფრო ღვივდებოდა ჩემში ქირი სიყვარულისა. უკვე ხუთი ალბომი ვაიგო ჩემი ლექსებით. ამ ხანებში მშობლებმაკ გაიგეს მიზეზი ჩემი ავთამყოფობისა და ასე მოულოდნელათ კურსის დამთავრებისა.

გაიგეს, მაგრამ არ იცოდნენ თუ ვინ იყო ჩემი სატრფო და არაფერს ამბობდენ. ერთ მშვენიერ დღეს დამიქირეს სატრფოსადმი მოწერილი წერილი და მით გაიგეს იმის ვინაობა, მაშინ კი ჩემმა ტანვამ უმწიფრვალეს წერიტლს მიაღწია.

სატრფო საზოგადოებრივ კიბეზე ერთი საფეხურით ჩემზე დაბლა იდგა!

ცალკე დაცინვა უფროს-უმცროსი ძმისა, ცალკე ბუზღუნა მშობლებისა მოსვენებას არ მძღვედენ. უფროსმა ძმამ თვის სამი წლის ბიჭიკოს შემდეგი აფორიზმი ვააზნებირა ჩემი წერილიდან ამოღებული:

„რა ვქნა, დედა, მეც მინდა რომ არ მიყვარდეს, მაგრამ რომ ვერაფერი მოვახერხე!“ ვარ ჩემს ოთახში წამოწოლილი და ოცნებობაში გართული; ბაწია შალაკო ჩუმათ შემოაღდეს კარებს, მომიხლოვდება და ტკბილის ხმით ჩაირაკაკავებს:

— ბიძია, ბიძია! „ლა ვქნა, დედა, მეც მინდა რომ აღ მიყვალდეს, მაგლამ რომ ველაფელი მოვახერხე“. კარებს უკან კი ისმის დანარჩენი მისი ტოლგების კისკისი და ჩემი უფროსი ძმის როხროხი...

ბოლოს ბედმა გამოიღმა და მშვენიერ ქალაქის ერთ-ერთ საზოგადოებრივ სკოლაში ენერგიულმა მუშაობამ თითქოს გამოიფნტა სენი. ჩემი ალბომები დაიწყვებას მიეცა...

ერთ მშვენიერ ზაფხულს „ოტპუსკი“ ავიღე და სააგარკოთ წაველ სოფელს. და აი აქ კვლავ შევხვდი იმ ჩემი ერთიან სავსე სულიერს, ჩემს ძველ სატრფოს. ერთი გამოქყევა გამოიქყევი ავარაკიდან, მაგრამ ამ სიზბილში კვლავ გამოიღვიძა ჩემმა სიყვარულმა!

ჩქარ-ჩქარა ვიწყე ჩემი სატრფოს ოჯახში სიარული. ხარაზი თედოს ტკბილი საუბარი და თან სატრფოს შავი თვალები თავბრუს მახვევდა პირველი თვის გაუთავებლობით და მეორე თვის სიღამაშიც... ერთ მშვენიერ საღამოს ხარაზი თედო სწორეთ იმ დროს დაბრუნდა სახლში, როდესაც მე და ჩემი სატრფო ბაღში ვსტკბებოდით სიყვარულით. თედორეს დიდხანს ეთავლითვალა შორიდან, შემდეგ მობრძანდა ახლო და თავაზიანათ მომართა:

— არა, შე უსინდისო და უნამუსო, ამიტომ მიგელე სახლში, რომ ოჯახი დამიქეიო და ერთად ერთი ჩემი სონიკა შემირბვინი? წადი, წადი დაიკარგე, შენი ფეხი აღარ იყოს ჩვენთან. შენც გასწი, შეეთრიე სახლში, შე უნამუსო შენა!

უკანასკნელი სიტყვებით ჩემს სატრფოს მიმართა, მე კი მარტო პირველი ქარამები ვაქმარა. ვაკიქეც, რადგან კარგათ ვიცოდი, რომ ხარაზი თედო სიტყვების გარდა ხშირად თვის საყვარელ მუსტსაც ხმარობდა ხოლმე ჩემისთანების ქკუს სასწავლად...

შემოდგომაკ მოახლოვდა და ქალაქისაკენ გამოვემზადე.

ავარაკიდან წამოსვლისას ჩემი სატრფო ჩაკეტილ ოთახის ფანჯრიდან გადმომხტარიყო და სადგურზე ქაქანით მოირბინა. მისმა ტირილმა და მოთქამა შემდეგი დილოკვი გამოიწვივა ჩემსა და ერთ თანამგზავრს შორის, როდესაც ავარაკს გამოვიცილდით.

— ყმაწვილო, მომმართა თანამგზავრმა ხმის კანკალით, სადეთ მიემგზავრებით? ციმბირში ხომ არ ვადაგასხლეს სამუდამოთ?

— არა, ბატონო!

— ოხ, სატოდაყო მამ ომში მიდიხარ? ბრძოლის ქარ-ცეცხლში უნდა ვავერიო და ყოველ

\* იმ დროს ჩინეთში რესპუბლიკა არ იყო, თუმცა დირექტორებს მაინც არ ირჩევდენ იმპერატორებათ.



# მ ა კ თ უ ლ ი



ვინაიდან სივრცე პანთონისა ჩენს უყვდათა რიცხვთან შედარებით ერთობ მცირეა, უკვე სდგას საპანთონო კარებთან კარგა მოზრდილი „ოჩერედი“. მაგრამ ზოგიერთ მგოსნებს მოუვიდათ ჩინებული აზრი: არ უცადონ ბუნებრივ სიკვდილს და თავი ღროზე მოიწამონ.

წუთს სიკვდილს უნდა მოელოდე? — ორი მარგალიტი ცრემლი ამოიწმინდა მან თვალებიდან.

— არა ბატონო, ქალაქში... მივიღვარ. სამსახურში!


— და წამსქდა მწარე ტირილი... თანამგზავრი სახატათ დარჩა, სამი საათის რკინის გზით გასაფლოზე ქალაქში მივდივარ და ასეთი ტირილ-კვითქვითი ჩემი და ჩემის სატრფოსი!

ველარაფერის თქმა გამიბედა, ალბათ კკუიდან შშელილი ვეგონე...

განცვიფრებაში იყვნენ ჩემი თანამოსამსახურენი და უფროსიც, თუ რამ გამოიწვია ჩემში ასეთი ცვლილება! მე, ენერგიული მუშაკი, ერთბაშათ მოვლენდი, დავზარმავდი და თითქმის ყოველ დღე ვგზავნიდი სამსახურში ბარათებს ჩემს ვითომდა ავადმყოფობის შესახებ და მე კი ვოცნებობდი ტახტზე წამოწოლილი.

ახუთ ალბომს შეეჭვსე მოემატა და საზოგადო დაწესებულებას, რომელშიაც მე ვმსახურობდი, ერთი მუშაკი ჩამოაყლდა.

# პანთეონი



უბერხულ მდგომარეობაში ჩენი დიდებული მუსიკოსი კ. ფოცხვერაშვილი ჩავარდა. ის უკვე მიეზომა საპანთეონო ადგილს და ვაი საშინელებზე: თავი აღმოსავლეთისკენ გადარჩა, ფეხები დასავლეთისკენ.

ეხლა კი მე ომში მივდივარ, რადგან ჯარში გამიწვიეს!

იქნებ გერმანიის ზარბაზნებმა დამაიწყოს სიყვარული... მაგრამ ვაი თუ იქიდანაც კრცხალი დაებრუნდეს და კვლავ განმეორდეს, ის, რაც ხდებოდა! რალა ვქნა მაშინ?

გუგული.

## შაქაქა

იტყვიან:

— კოლო რა იქნა შარადებისა მწერალი?

ჩენ მოვახსენებთ:

— ბალებში

დაჰფრენს დღედაღამ მღერალი.

ხანმოკლე უღვას სეზონი...  
 არ ისარგებლოს, ბრაღია...  
 ბაღებში მრავლათ ფარფატობს  
 გულ-მკლავ ტიტველა ქალია.  
 ხან ამას დაასკუპდენბა,  
 ხან იმას ასმენს წივილსა,  
 მკლავების ფხანას აუტეხს,  
 ფიქალი მკერდის ტკივილსა.  
 მთელი ქვეყანა სისხლსა სწოვს,  
 კოდოს რათ გაემტყუნება?  
 (დასაბამითგან ასეთი  
 იყო იმისი ბუნება).

დღეს მოიცალა, და აპა,  
 შარადას მიჰყო ხელია...  
 (თუმც საყვედური ეშმაკის  
 მისთვის არ გაგვიმხელია).

ნეტავ რა სტანჯავს იმ დედას,  
 ომში რო შვილი ჰყოლია?  
 თვალბეზე ცრემლი რო ადვას,  
 გულზე რა შემოსწოლია?  
 მოკლე სიტყვაა; არ მიყვარს  
 მე მისი გულით ტარება,  
 მოაქვს ოხვრა და ცრემლები,  
 ვიდრე არ გაექარება.  
 წაჰყვეცეთ ორი ანბანი  
 ბოლოზე ანაკიდები...  
 (სულაც ავკუწოთ, ახია,  
 ეგ ცოლდა განადიდები!)

სამი ანბანი დაგვრჩება,  
 საძირკველია პირველი,  
 და აწ მოვსძებნოთ ფულუროს  
 თავიდა ლამის ფრინველი.  
 თუმცალა პოვნა იმისი  
 არ არის ეგრე ადვილი...  
 (დღით ფულუროში დამაღვის  
 გენიოსია ნამდვილი.)  
 მაგრამ ძებნა საჭირო,  
 არ ნახვა არ ევარგება.  
 (საქმეს არ ავენებს ამ სიტყვის  
 ბოლო თუ დაგვეკარგება.)

აწ ვნახოთ დიდი მდინარე  
 რუსეთის ჩრდილოეთადა,

დასავლეთისკენ რომ მიდის  
 ბალტიის შესაერთად.  
 შშენიერია ზამთრობით  
 ყინულში ჩანაჭედავი,  
 ზაფხულში ღრმა და ანკარა,  
 (ოპ, ჩვენში მოგვცა ნეტავი!)  
 ასო პირველი მოგტაცოთ  
 ამ საუცხოვო სახელსა,  
 (ჩამოჭრას გული არ უზამს  
 მისი შშენების მნახველსა).

აქ დავვირგვინა შარადა,  
 და აგვისრულდა წადილი!  
 ეგ რა მუშტების ღერაა?  
 რა ყვირილი და ქადილი?  
 ეს გოგოები რას გვანან?  
 რა აულიათ ხელობა?  
 ოპ, შემეწიოს, ეშმაკო,  
 შენი მათრახის მცველობა.  
 დღეს არის იგი საჭირო  
 რო არბილებდეს ქვედასა,—  
 შენ კი როგორღაც იმათზე  
 არ ხმარობ.  
 ვი დედასა!!

კოლო.



## ომი აველ საქართველოში

(„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით)

(დასასრული\*)

### ბრძოლა ხაშურში:

თანამედროვე და ჩვენ ძველ სარდლებს შორის  
 გარჩევა ომში მონაწილეობის მხრივ. ძველებურ  
 ომში პირდაპირ ერეოდნენ და ხმლების ჩახა-ჩუხით  
 მიუძღოდნენ წინ ჯარს, ახლა კი ბრძოლის ველს  
 ხშირათ დიდ მანძილზედაც კი არიან დაშორებული  
 და ვვიქრობ რომ თვით ბრძოლასაც ძვირათ ხედვენ.  
 ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ძველათ ტელეფო-

\*) იხ. „უმზაიის მათრახი“ № 32.

ნები არ იყო და მით მაგიერობას სარდლის მქუხარე ხმა ასრულებდა.

„შუბი ვიხოვე, ხელი ჩაცვა მუზარადის დასაჩქმელად, საომარად ატეხილი ვიყავ მათდა გამტეხელად.“

ასე იწყებს ტარიელი ხატველებთან ომის დაწყების ამბავს, რომელსაც უცებ შეყვავართ მოქმედების პირდაპირი შუაგულში.

„ერთსა წავეწვი უტევარსა, წავგვრქელი და წაველ გრძელად.“

ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ტარიელს შეხვედრია მტრის მოწინავე რაზმები, რომელიც მას დაუფეთებია და უკან გადსურეკავს, ასე რომ ის უცებ მიახლოვებია მტრის მთავარ ძალებს:

„მათ ურიცხვი რაზმი ეწყონ, წყნარად დღეს და აუშლულად.“

მთავარი ძალების დანახვა და მითთან შეხმა ერთი იყო ტარიელის მხრივ:

„ახლოს მიველ, შემომხედეს, შმაგაო, ესა სთქვესა, მუნ მივმართე მქლავ მავარმა საღ უფროსი ჯარი დგესა.“

უკანასკნელი სიტყვები იმის მაჩვენებელია, რომ მტრის ტარიელის მოსატყუებლათ ფრონტის სხვა დასხვა ადგილას დემონსტრაცია მოუხდენია—ვინ იცის რამდენ მელანს დახარჯავდენ ამ დემონსტრაციების შესახებ მაშინდელი ქართული გაზეთების კალმოსანნი სტრატეგები. მაგრამ ტარიელის სამხედრო ნიჭი ისე ძლიერი ყოფილა, რომ ხელათ შეუტყუია თუ საღ ეყოლებოდა მტერს უმოთავრეს ძალები და წამსვე შესდგამია საქმეს:

„მიგან ისე ვავერივე გნოლის ჯოგსა ვითა ქორი, კაცი კაცსა შემოგტყორცნე, ცხენ-კაცისა დაედგი გორი; კაცი ჩემგან განატყოცო, ბრუნავს ვითა ტანჯჯორი; ერთობ სრულად ამოგწყვიტე წინა კერძი რაზმი ორი.“

ექვი არაა, რომ ტარიელის შეტევა ისეთი ძლიერი და სწრაფი ყოფილა, რომ უცებ გაურღვევია მტრის სიმაგრეების ორი ხაზი და, როგორც ქვეით დაინახავთ, მსწრაფლ მოქცეულა ხატველთა ჯარის გულში:

„ერთობული მომბეჭენი გრგვლი შეიქმნა ოში დიდი, ვკრი რასაკი, ვერ დამიდგის, სისხლსა მქცისსა აღმოვლვორი, ცხენსა კაცი ვაკვეთული მანდიკურად გარდავკიდი.“

აქ ბრძოლა უმწვერვალეს ხარისხამდეა ასული, უცვე დგას ის წუთი, როცა მარსმა გამარჯვების სასწორი ან იქეთ უნდა გადააქანოს და ან აქეთ. წამი და... სასწორმაც ტარიელისკენ დახარა თავი, მტერი შედრკა და გაიქცა:

„სათაც ვიყვი, გამექციან, მათ შეჭქმნიან ჩემი რიდი.“

ამნიართ გამარჯვება ტარიელს დარჩა, მაგრამ კანდიერ მტერს სულ ახალ-ახალი ძალები შემოყავდა ბრძოლაში და როგორც ხატვეთის გაზეთებში გამოქვეყნებული სამხედრო მოხსენებები იუწყებოდენ, მტერი თავის უკან დახევას სტრატეგიულის მიზნით ამართლებდა. ამავე აზრის იყვენ სამხედრო მიომხილველნიც. მაგრამ ტარიელმა მაღლ დაამტყოცა ამ მოხსენებათა სიყალბე, ამაში ხელი შეუწყო მათელომა ჯარმა, რომლის დანახვამ თავს ზარი დას-უა ხატვეთის ჯარს:

„სალამოს ვამს დაიძახა ქედლით მაიმან დარაჯამან: ნულაა დგათ, წავედიო, კვლავ მოგვხედნა რისხვით ცამან: მოვა მტერი საშინელი, შეგვაშინა ამაღ ამან, ნულთ სრულად ამოგწყვიტენს უთვალავმან, ბევრმან სპამან.“

ამ სიტყვების თქმამ საშინელი დებორგანიზაცია შეიტანა მტრის ბანაკში და „თავს უშველეთ“ ძახილით მთელი ჯარი უეუქცა. ეს ამბავი საქართველოს გაზეთების მიომხილველებმა სრულად სისწორით და მიუდგომლათ გააშუქეს; სწერდენ: „ტარიელი თავის მამაკი და სახლოვანი ჯარით ფეხდაფეხ მისდევს თავზარდაცემულ მტერს და ნადვლთან ერთად ყოველ წუთს აუარებელ ტყევებს იგდებს ხელში.“ პატროტები შიკრიკებ შიკრიკებ გაზენილენ მთავარ სარდლის სადგომში

და მილოცვებით ყურებს უყრუებდენ ტარიელს. სამხედრო კორესპონდენტებისავან ხომ სულ მომბერებელი ქონდა თავი და ის იყო. მაგრამ ისევე ბრძოლის ველს დაუბრუნდეთ.

თბილისის

„იგი ნახეს, გასაქცევლად  
 გაემართნენ; შევიკვლენით,  
 ველი ჩვენგან ნაომარნი,  
 მოითავე გარდავლენით.  
 რამაშ მეფე ჩამოვადგე,  
 ერთმანეთსა გავგზმლენით ..  
 უკანანიცა ლაშქარნი  
 მოუსწრნეს მათ ვაქცევულთა  
 დაუსყეს პერობა, ჩამოყრა  
 შეშინებულთა, ძლეულთა...“

აშკარაა, რომ მიმოხილვით ბრძოლის ველი სისწორით დაუხატავთ, მტერი მართლაც არეულა და საშინლად დამარცხებულა, ასე რომ მეფეც კი ტყვეთ ჩაგარდნია ტარიელს.

ასე ბრწყინვალეთ დათავებულ ომს უსათუოდ უნდა გავლიზანებია ჩვენი ანექსიონისტების მადა, მაგრამ როგორც უკვე დავინახეთ, სამშვიდობო კონფერენციაზე ასეთი მიმდინარეობა არც კი გამოჩენილა და ხატავთის სამეფო არ გაუნაწილებიათ; უნდა ვიცოდეთ, რომ მაშინდელ სოციალისტებს არც ციმერვალის კონფერენცია მოუხდენიათ და არც კინტალის, უანექსიო ზავის იღვა თავისთავად წარმოიშვა.

**სამხედრო კონტრიბუცია.**

როგორც ვიცით დღეს ძალიან განვითარებულია დაპურობილ ადგილებიდან სამხედრო კონტრიბუციის აღება. ხომ გახსოვსთ რამდენი თანხა აიღეს ამ გზით გერმანელებმა პოლონეთში და ბელგიაში ეს ჩვეულება ჩვენშიც უყოფილა, ამას ამტკიცებს ტარიელის ნათქვამი:

„გავზავნე ყოვლგან ლაშქარნი,  
 ალაფი ავალღებინე,  
 ერთობ სასენი მოვიდეს,  
 თავი გავალღებინე“

საქიროა აღვნიშნო აი რა: სამხედრო კონტრიბუციას აღიზანოვების ჩვენში სეირნობის დროს, ჯარიმები ეწოდებოდა, ახლა კი ტაქტიკურის მოსაზრებით ახალი სახელით მონათლეს.

**ნიმუში სამხედრო მოხსენებისა.**

სამხედრო მოხსენებათა სიმარტივე და ხშირათ გაურკვეველობაც, ვინაა რომ არ იცოდეს დღეს. „მიველ, ვნახე, დავამარცხე“ კლასიკური მოხსენე-

ბაა, მაგრამ ასეთი კლასიკური მოხსენებას აკლია ჩვენს დროში. ტარიელი კი აქაც წინ დგას ჩვენ დროსთან შედარებით, აი მისი ერთად ერთი მოხსენება:

„წიგნი დავწერე: „მეფეო,  
 სვეციაა თქენი სეიანად,  
 მე ხატაველთა მიმუხთლეს,  
 თუმცა მათ ეცა ზიანად,  
 ჩემი ამბავი დასტური  
 ამით გაცნობ გვიანად,  
 მეფე შევიპარე, მოგივალ  
 მე ალაფთან—ტყვიანად.“

როგორც ხედავთ ესაა ტარიელის ერთად ერთი მოხსენება ძველი ომის დროს,\*) მაგრამ არ იფიქროთ, რომ მაშინდელი საქართველო ომს გულგრილათ უყურებდა და ყოველ დღე ცნობებს არ თხოვდა სამხედრო მინისტრებს. მთავარი შტაბი ყოველ დღე ომის ბიულეტენს აქვეყნებდა, ხოლო ლეჩხუმ-სვანეთისა და ოკრიბა-ქიზიყის დიდ ვაზეთებს ბრძოლის ველზე საკუთარი კორესპონდენტები ყავდათ, რომელნიც უმეფეული ტელეგრაფით გზავნიდენ ცნობებს დღეში ორასიდან ხუთას სიტყვამდე.

**სახლმავრო ბრძოლა.**

ძველ საქართველო ხმელეთის გარდა ზღვასთანაც ჰქონდა საქმე, ამიტომ აქაც შესანიშნავათ იბრძოდენ ჩვენი წინაპარნი. მათი ბრძოლის მეთოდი, ხმელეთის არ იყოს, სრულებით არ ვავდა თანამედროვე მეზღვაურთა შეტაკებას. ეს უკანასკნელნი ცხრა მთის იქედან ესვრიან ერთმანეთს უუპირობეს თუ მინებს, თითონ კი მიმალულნი არიან; ძველ ქართველებს როდი სჭირდათ ასეთი ზნე, ისინი პირის-პირ ხედებოდენ მტერს და გონების მაგიერ მკლავებს ამოქმედებდენ. დამეთანხმებით რომ ამაში უფრო მეტი ვეჯაკობა და პატიოსნებაა, ვიდრე საღდაც ამომალეაში.

აი როგორ ვადამხიდა აეთანდრელობა სახლგანო ბრძოლა, როცა იგი დამფრთხალ მოქარავენთ ვაუძღვა წინ:

„სიამოვნისა დარითა  
 იარეს არ სიძნელითა,

\*) ოო, რა სიამოვნებით მოაწერდენ ჩვენი დროის სარდლები ასეთ მოხსენებაზე ხელს!

მათი მადრაგა ავთანდილ უძღვის გულითა ქველითა, გამოჩნდა ნავი მეკობრე, დროშითა მეტად გრძელითა, მას ნავსა ნავთა საღვწად სახნისი ჰვია ძელითა.“

თუ თქვენც დამიჯერებთ ეს ნავი საადმირალო უნდა იყოს, ან ქართულად რო ესთქვათ სამირბერო.

„ჰკიოდეს და მოდიოდეს იზახდეს და ბუქსა ჰკრესა, შეუშინდა ქარაფანი მათ ლაშქართა სიღრდესა. ყმაბან უთხრა: „ნუ იშოვით თქვენ ამათსა სიაღვესა, ანუ დაეზოც ამათ ყველას, ან სიკვდილი ჩემი ღდესა.“

ეჭვი არაა, რომ ავთანდილს რაზმი მეკობრეთა ხილვაზე შეშინებულა და მას საავტუაციო სიტყვის თქმა დასკირებია, ამ დროს რაზმიც გვარინათ მიუღიანდავს:

„თქვენ, ვაჰარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი, შორს ისრითა არ დაგზოცენ, ჩაიხრჩენით თანაკარნი!

მეტი თავზე ლაფის გადასხმა არ შეიძლება, თუ საომარი მომენტი არა, ავთანდილ ვაჰრები უთუოდ სამედიატორო სამართალში გაიწვევდნენ, მაგრამ ახლა კი უხმოთ დაემონენ სამხედრო დიქტატურას და აქეთ-იქეთ მიიმლენ.

„მარტო მიხეთ ვით შევება, ვით ვიხმარნე ლომნი მკლავნი, მეკობრისა ნავასინი სისხლნი ჰნახეთ მონაღვარნი.“

ასე დიქტადა ავთანდილმა და უბრალო ბაქიობაც როდი გამოდგა ეს.

„ჩაიცვა ტანთა აბჯარი ქცევითა ვეფეებერ მკრჩხალითა, მას ხელთა კეტი რკინასა ჰქონდა ხელითა ცალითა.“

ჩვენი დროის ზღვაოსანნი კი ქართვებს, კომპანებს და ღურბინდებს ჩაკირკიტებენ. დახეთ სიციულულტეს.

„ნავის თავსა გულმეფეველი წაუღა შიმშულიმეფეველი ვითა მკერეტელნი კერეტითა, მტერნი დახოცა ხმალითა. ჰკიოდეს იგი ლაშქარნი, ხმა მათი არ გაწყდებოდა, აძგერეს ძელი, რომელსა ზედან სახნისი ჰგებოდა; ყმა ნავის თავსა უშოშრად ქველგა, არა თუ კრთებოდა, კეტი ჰკრა, ძელი მოსტება, ლომს მკლავი არ უღრკებოდა.“

ვისაც ჩვენი დროის საზღვაო ბრძოლის აღწერა წაუკითხავს, ის ეხლავე მიმხედარია, რომ აქ ძირითად გარჩევასთან გვაქვს საქმე: მაშინდელი ბრძოლა ახლანდელს ერთი ბევრითაც არ ვაგვს. ეს კი ჩვენი სამხედრო ტექნიკის ნაციონალური ელფერი-ანოზას ნიშნავს. ბრძოლის უმწვერვალეს განვითარებას ასე გადმოგვეცეს შოთა რუსთველი, რომელიც, ადვილათ შეიძლება, ავთანდილის გემზე სამხედრო კორესპონდენტათაც კი იყო რომელიმე გაზეთის მიერ გაგზავნილი.

„მათ ლაშქართა გულ უშოშრად ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა, ზოგი ნავსა შენარცხის, ზოგსა ჰყრიდა შივან ზღვასა; ერთმანეთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა, ვინც რჩენილან, მკედართა შუა იმაღვიან, ჰმაღვენ ხმასა.“

გამარჯვება, რასაკვირველია, ავთანდილს დარჩა და მაშინდელ სამხედრო მტაბებს—მომარსახელმწიფოების—ამის გამო პოლემიკა არ გაუმართავთ,—არა ჩვენ გაუიმარჯვეთ და არა ჩვენ, როგორც ეს ღდეს მოიმოქმედეს უკანასკნელ საზღვაო ბრძოლის შესახებ ინგლისელებმა და გერმანელებმა.

საზღვაო ბრძოლა ერთხელ ტარიელმაც გადაიხადა, საქიროთ მიგვანია ამის სურათიც ვაჩვენოთ მკითხველებს. იგი ასე ავიწიერს მტრის ფლოტთან შეხედრას.

„ნავი წინა მომეგება, არა ვეტი იყო თუ რვა. ფიცხლა ზედა შევეჯახებ, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა;“

ქუსლი ვეარ და დავუქციე,  
დაიძახეს დაიკურ ვა!

ბრძოლაში ქუსლის ხმარებაც რომ ტენიკის  
უღარეს განვითარებას ნიშნავს ცხადზე უცხადესია.

„კვლავ სხვისა მოველ,  
მოვკიდე ხელი ნავისა ბაგესა,  
ზღვასა დაფანთქი, დაღებუცე, —  
ომიმიცა რაღა აგესა.“

ე. ი. ტარიელს ისე დაუტანებია ხელი გემისა-  
თვის, როგორც ვარკლისთვის და ვაჭაკურათ „ჩა-  
უღვეფებია“ წყალში. ცხადია, რომ ასეთ რამეს  
თანამედროვე ზღვაოსანნი ვერ დაიჩემებენ და აღ-  
ბათ ამიტომაც არ ეკარებიან ერთმანეთს ახლო.


თავზარ დაცემულ მტერს თავის უბედურობის  
დანახვაზე შინისკენ მოუკურცხლავს, ბრძოლის ვე-  
ლიდან უსირცხოდ ლტოლვილა.

„სხვინი გამექცეს, მიჰმართეს  
მათ მათსა საქულ მაქესო.“

ამბობს ტარიელი, რომელიც შოთას სიტყვით  
ზღასა და ხმელეთზე ერთნაირათ იბრძოდა და ერთ-  
ნაირათ იმარჯვებდა.

აი ასეთი სახე ჰქონდა ომს ძველ საქართვე-  
ლოში.

გ. მაღაქიაშვილი.



გ ა მ მ ს ა ნ ა

(სურამისთვის)

ერთი რივა სულიერი  
არც დიდია, არც პატარა;  
„ღრამის“ საზოგადოების  
კლიტე რუსეთს მოატარა.

ცხრაას ცხრაში „ღრამის“ წვერთა  
აბრჩიეს თავმჯდომარეთ  
და მას შემდეგ თავზე აზის  
თვის ამრჩევლებს შინ და გარეთ.

გამომიძებლათაც ~~ფეხი~~  
კოტა მოშორებრე ~~ქმარე~~  
ამდა ჯურის სამსახური  
„მოლუაწისთვის“ ხომ არ კმარა.

კლიტე საზოგადოების,  
შენობისა გასაღები  
წაიღო და თან ატარა  
ხალხის ნდობით ანაღები.

ქანქართა მოწადენით  
ამოიქნა დიდი ქისა  
და მამულიც შეიძინა  
ასე, ვგონებ ერთი დღისა.

ამრჩევლებმა ანგარიში  
რომ მოსთხოვეს — ვარი სტიკაცა,  
ნოტარიუსით კი მიწა  
თვის სახელზე დაიმტიკაცა.

წესდება და მის მავგარებს  
არ უყურებს, აღარ სჯერა,  
რომ წვერნი გამგეობისა  
ერთ წელს ირჩევა ერთჯერა.

მისთვის ექვსი წელიწადი  
ერთ წელათაც არ გამოდგა,  
(ხედავთ, საქმეს საზოგადოს  
როგორ სწყალობს, როგორ მოსდგა!)

და ყოველ მხრივ ააყუავა,  
გაახარა სურამს ბევრნი  
და ამიტომ „მაღლობისთვის“  
კრებას იწვევს „ღრამის“ წვერნი.

მაგრამ უფროსს რაკი არ სურს  
მაღლობა და ვაშა, ტაში,  
მიტომ კრება აღარ სდგება  
და მიდიან ისევ სახლში.

ახალ „მოღის“ ტიპი არის,  
არ ნახული ქვეყანაზე  
მისი ქება განთქმულია:  
ეშმაკეზსა სძლეესო ცაზე.

ქართულათ აკეთებს საქმეს,  
„მამულიშვილია“ მტიკცე  
ჯოჯუხეთსაც ატლის წვერებს  
ამიტომ მათრახი სტიკცე.

ისე, რომა მის საქმეზე დააფიქრო აქ, მიწაზე, დაახელო მის ღიდებულ სამინიტრო მაგარ თავზე.

კვხი.



### ს. შაჰვანათი

(შემოქმედის სსხ.)

წარსულ აღდგომის ღდესასწაულზე ხალხი რომ იყო ეკლესიაზე, იყო ამთში „კაცთ-უხუცესი“ — რალა დაემალთ ზენი ხუცესი!

იყო საკურთხი მუნ მონატანი, გოქი, ქათამი მრაველთაგანი; მიიპტრო იმთ ხუცესმა თვლი და გაღიხადა ღვთიური ვალი...

მივიდა კრძალეით, მოწიწებითა, აკურთხა ყველა თავის ნებთია... დაადგა ჯვარი მიცვალეებულსა, აღუთქვა შველა, „წაწყმენდილ სულსა.“

და რა ილოცა ზეგულებრივთ, (რომ შერგებოდა საღილი ტბილიათ,) თვლით ანიშნა ვიდაცას განზე დამქაშიც მიხვდა ბრძანების ხმაზე.

ფიქრობს: „თუ მომცა გოქი, ან ვაცი, ქეიფს გაღვიბდი, გაეკეთღა კაცი... (რაკარგი არის სხვისა ქონება, როცა უშრომლათ მოგვეკონება!)

ამდროს ბავშვების ბრბომ იგრილა, იმ წაბსე, ყველა გატილა. მიიქეთ მათ გოქი, ქათამი მრავალი, დარჩა მოძღვარი-ხახა გამშრალი.

ყველა იციანს, მოძღვარი არა, იგი გაპკივის: „გაჩუმდით, კმარა. ვისიც რომ არის ბავშვები ავი, შემირცხვეს მათი სულყველას თავი.“

ასე მოქმედობს ზენი საკურთხითა იგი მაძღვარი, თუ კი ვაალო მან საყდრის კარი, ჯიბეში მიიქეთ ხალხის ქანქარი.

ეხლა ახალი „სიკეთეც“ გვიყო! რკინა გაყიდა, ხიღეთ რომ იყო: ხალხი განრისხდა და სთოვს პასუხსა, ის კი გვიგინებს ყოველთვის სულსა.

მაგრამ სიმართლე სიმართლეთ რჩება, და ბოროტება არვის შერჩება... ხალხმაც იმსჯელა ამა საგანზე და ის აპირებს საჩივარს მასზე..

ამის გამო კი მოძღვარი ზენი — ცოტა შეფიქრდა... აწ განაინი — იმის მივანდოთ, ვისაც უპყრობა საჯოჯოხეთთა შავი კუპრია...

ბანა.



### ბურულაში ართვიღში

(სტენისეჟური წერაღი დიდ ქმშაკს)

გურიანში ხში ვავარდა: ართვინისკენ გზას აკეთებენ, ფული სახვეტთ არის, მუში კეთდებო. ზენც დევიჯერეთ, მევიყარეთ თავი მეზობლებმა, სულ ღარჩელმა ბიკებმა და, ზოგმა საკუთარი „პროპუსით“, ზოგმა ნაქირავეებით, ზოგმა კიდევ კოტრაბანდით ზენცდით ბათუმში. მივიარეთ, მევიარეთ, მოვანხეთ პოღრაიკი, მოკრიგდით და ქე ვეღდით საღღდგომთ ართვინს პაწეი იქითრღე. ბათუმში შეგვხდა ასკანის მამასახლისათ ნამყოფი ფილიპე და ერთ ზენს აფხანიკს გამოატანა ერთი ჩეტვერი ოტკა. „ნაბარები მგელმა შეინახა“, იტყვიან. თვითონ ფილიპესაც ებარა მთელი საზოგადოება, მარა მთლიად არ შეუქმნია და რას იფიქრებდა, თუ ზენი აფხანიკი აღექსი ფსიეშვილი მგელზე და მამასახლისზე უფრო „ნამუსიანი“ იქნებოდა... აღდგომა მეორე დღეს აღექსიმ შემოგვიჩივლა: დაკტილი ყუთიღან, რომელშიაც ორმოც



მანეთზე მეტი ფული მქონდა, 25 მანეთად ღირებული „აზიაკი“ წულა და სხვაც წერიმანო, მართო ოტკა მომპარეს და ევეი ერთ გურიანთელ ბოლქვაძეზე მაქვსო. შეუდექით ძიებას: საწყალი ბოლქვაძე კინაღამ ვაწამეთ, მარა აღრედამტკიცდა, რომ ის არაფერ შუაში იყო. ბოლოს აღექსმ გაწახდა: თუ მომპარეს, ისევ ჩემმა აფხანიკებმა მომპარესო. აგი ჩვენ გვეწყინა, გამოვიწვიეთ სამედიატორო სსსმართლოში. იძიეს ჩვენმა მედიატორებმა და ყოვლად პატიოსანი ქურდი ისევ აღექსი გამოდგა, რომელმაც თავის თავს გარდა ოტკი-

სა არაფერი არ მოპარა. კარგად ვინგარიში მოუპარავს, რადგან ბათუმში წეტველი ოტკა 15 მანეთი ღირდა, ართვინში კი 25 მანეთი. აღექსი-მაც დაინახა, რომ იღლიტება: პოდრაჩიკი, რიადჩიკი, ტაბელჩიკი—ყველა გამორჩენას ეძებს, თითონაც გამოჩნა ფილიბეს. მარა თავი ქე მეიჯაყა—ჩვენ გვიჩვილა და მედიატორებმა თვითონ იცნეს ქურდათ. ასე, 12 მანეთში გავცვალა ოთხი აფხანიკი და მეზობელი და თავიც ზეთ წაასაკრა. ასეა „ვირის პალო“ ყოლთვინ.

ქინძი.

### ქართული პანთეონი



ბ-ნი ეშმაკი მოწოდინებული იყო ქართველ უკვდავთ თავშესაფარში შოთა რუსთაველიც მოქცეულიყო, მაგრამ მგოსანმა, როგორც ხედავთ, ეშმაკის თხოვნა განზე დაიჭირა.